



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
კომპიუტერული მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 2026 წლის 17 მარტი
დასკვნის წარდგენის თარიღი 2026 წლის 08 მაისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი შპს |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 405155638 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | სეიფედინ კადრი, ლიბანის ამერიკული უნივერსიტეტი, ლიბანი, ნოროფის უნივერსიტეტი, ნორვეგია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნანი არაბული, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | გიორგი მხეიძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Computer Science and Artificial Intelligence |
| უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი (კომპიუტერული მეცნიერება - 0613.1.2) |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³ | |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |
| დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | |

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის ინგლისურენოვან ვერსიას, რომელსაც აკრედიტაცია მიენიჭა 2024 წელს. აკრედიტაციის მიღების შემდეგ განხორციელებული გარე შეფასებით დადასტურდა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები წარმატებით იქნა გათვალისწინებული. 2025 წელს პროგრამას განმეორებით მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერული შეფასების ფარგლებში. პროგრამა ინიცირებულ იქნა დაწესებულების მიერ, შეფასდა განხორციელების მიზანშეწონილობა და ოფიციალურად დამტკიცდა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. წარმოდგენილი პროგრამა არის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (საბაკალავრო) პროგრამა, რომელიც ანიჭებს კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრის (კოდი 0613) კვალიფიკაციას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს ზოგადი განათლების დასრულებას და ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას (ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ ალტერნატიულ გზებს), აგრეთვე ინგლისური ენის B1 დონეზე (სულ მცირე) ცოდნის დადასტურებას. სტუდენტების მობილობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და ინსტიტუციური კრედიტების აღიარების წესების შესაბამისად. პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც განაწილებულია 3 წლის განმავლობაში (6 სემესტრი); სტანდარტული სასწავლო დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს წელიწადში. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს, ასევე თავისუფალ არჩევით კომპონენტებს. სწავლების ენა არის ინგლისური.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 17 მარტს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, საერთაშორისო ექსპერტი, ქართველი ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები ადგილზე ესწრებოდნენ ინტერვიუებს. 12 მარტს ექსპერტთა ჯგუფმა ონლაინ ფორმატში ჩაატარა წინამოსამზადებელი შეხვედრა, სადაც პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშის და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გაზიარებულ იქნა წინასწარი მიგნებები და დაიგეგმა ვიზიტის დეტალები. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა პროგრამის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს და დაეთვალისწინებინა მატერიალურ - ტექნიკური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, სამუშაო გარემო იყო თანამშრომლური და სტუმართმოყვარე.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტები 1.1, 1.2, 1.4, 1.5 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტი 1.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტი 2.1 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტები 2.2, 2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტი 3.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტები 4.1, 4.3, 4.4, 4.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტები 5.1 - 5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

1.1 პროგრამის მიზნები

რეკომენდებულია, გადაიხედოს მიზანი „მონაწილეობა ახალი პროდუქტების შემუშავებაში ხელოვნური ინტელექტის სფეროში“ და შეიცვალოს შემდეგი ფორმულირებით: "კურსდამთავრებულები მზად იქნებიან წვლილი შეიტანონ ხელოვნური ინტელექტის ინოვაციური პროდუქტების და გადაწყვეტილებების განვითარებაში".

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

რეკომენდებულია, პირველი სწავლის შედეგიდან ამოღებულ იქნეს „android ინტერფეისები“.

რეკომენდებულია, გადაიხედოს მე-5 სწავლის შედეგი „აანალიზებს კლიენტის მოთხოვნებს, მოცემულ დავალებას და შეიმუშავებს გადაწყვეტის გზებს" და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: "აანალიზებს კლიენტის სიმულირებულ მოთხოვნებს, მოცემულ დავალებას და შეიმუშავებს გადაწყვეტის გზებს".

რეკომენდებულია, დაბალი კოგნიტური სირთულის ზმნები (მაგალითად, ცოდნა და გაცნობიერება) ჩანაცვლდეს უფრო მაღალი კოგნიტური უნარების ამსახველი ზმნებით.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

რეკომენდებულია, მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო გეგმას დაემატოს უსაფრთხოების კურსი ან შესაბამისი თემები.

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

სილაბუსებში მითითებული ზოგიერთი თემა არ იძებნება სასწავლო კურსის ლიტერატურაში; მაგალითად, „ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების" კურსის ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი ბლოკჩეინის და IOT - ის თემები.

რეკომენდებულია, ლიტერატურასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გადამოწმდეს სასწავლო კურსით გათვალისწინებული თემები.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს აბიტურიენტის მიერ ეროვნულ გამოცდაზე ჩასაბარებელი საგნების ჩამონათვალი.

▪ რჩევები

1.1 პროგრამის მიზნები

სასურველია, გაიზარდოს დამატებითი გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

სასურველია, გაიზარდოს დამატებითი გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

სასურველია, სასწავლო კურსს „ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება“ შეეცვალოს სახელწოდება და დაკორექტირდეს თემატიკა, იმისათვის, რომ კურსი სრულად ეხებოდეს „მანქანურ სწავლებას“; ასევე რეკომენდებულია, შეეცვალოს სასწავლო კურსის „მანქანური სწავლების (გაღრმავებული სწავლება)“ სახელწოდება და ეწოდოს "გაღრმავებული სწავლება".

სასურველია, „მონაცემთა დაცვის“ სასწავლო კურსის წინაპირობა ჩანაცვლდეს უფრო რელევანტური კურსით.

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

სასურველია, შიდა გრანტის ბიუჯეტის გაზრდა ისე, რომ წელიწადში ერთზე მეტ აკადემიურ პერსონალს შეეძლოს დაფინანსების მიღება. აღნიშნული გაზრდის მოტივაციას, გააფართოებს კვლევით საქმიანობას და მხარს დაუჭერს პროგრამების გრძელვადიან განვითარებას.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა გუნდს სურს მადლობა გადაუხადოს უნივერსიტეტს მისი კარგად დასაბუთებული პოზიციისთვის. შედეგად, 1.5-ში პირველი ორი რეკომენდაცია რჩევებში იქნას გადატანილი, დანარჩენი კი რჩება უცვლელად.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

- პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური / სამეცნიერო

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 31 აკადემიური პირი, მათ შორის 11 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი და 7 ასისტენტ-პროფესორი; 8 პირი ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს დარგობრივ მიმართულებაში, ხოლო გარკვეული ნაწილი აფილირებულია უნივერსიტეტთან. გარდა ამისა, პროგრამა მხარდაჭერილია 26 მოწვეული თანამშრომლით, რომელთაგან 13 ფლობს დარგობრივ გამოცდრეილებას, ხოლო 2 დოქტორის ხარისხს, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 1 საერთაშორისო თანამშრომელი. აღნიშნული ასახავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბალანსს, რაც უზრუნველყოფს სტაბილურობას და გარე გამოცდილებას. აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 8/31-ს. აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 1.19-ს.

- სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამას აქვს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის კარგი მაჩვენებელი. აღნიშნულ პერიოდში გამოქვეყნებულია 217 ნაშრომი ადგილობრივ და 76 საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში, რაც აჩვენებს აქტიურ სამეცნიერო ჩრთულობას. გარდა ამისა, პერსონალმა მონაწილეობა მიიღო 120 ადგილობრივ და 95 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში და წარადგინა მოხსენებები, რაც ასახავს აკადემიურ საზოგადოებაში გამოცდილების გაზიარების მაღალ დონეს, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო ასპარეზზე. საერთო ჯამში, აღნიშნული მაჩვენებლები მიუთითებს კვლევითი პროდუქტიულობის და ჩართულობის სტაბილურ დონეზე, თუმცა სტატიების და სამეცნიერო ნაშრომების აქტიურად გამოქვეყნება მაღალი იმპაქტ - ფაქტორის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში გააძლიერებს პროგრამის სამეცნიერო-კვლევით პროფილს.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.); შენარჩუნების მაჩვენებელი 100 % - ია.
- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესის სასწავლო წლების მიხედვით;
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | შეფასება |
|-----------|--|---------------------------------|
| 1. | 1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | მეტწილად შესაბამისობაშია |
| 1.1 | პროგრამის მიზნები | მეტწილად შესაბამისობაშია |
| 1.2 | პროგრამის სწავლის შედეგები | მეტწილად შესაბამისობაშია |
| 1.3 | პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია |
| 1.4 | საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | მეტწილად შესაბამისობაშია |
| 1.5 | სასწავლო კურსი / საგანი | მეტწილად შესაბამისობაშია |
| 2. | სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია |
| 2.1 | პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | მეტწილად შესაბამისობაშია |
| 2.2 | პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია |
| 2.3 | სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია |
| 2.4 | სტუდენტების შეფასება | შესაბამისობაშია |
| 3. | სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია |
| 3.1 | სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | შესაბამისობაშია |
| 3.2 | მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა | არ ეხება |
| 4 | სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია |
| 4.1 | ადამიანური რესურსი | შესაბამისობაშია |
| 4.2 | მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | არ ეხება |
| 4.3 | აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაშია |
| 4.4 | მატერიალური რესურსი | შესაბამისობაშია |
| 4.5 | პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | შესაბამისობაშია |
| 5 | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია |
| 5.1 | შიდა ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია |
| 5.2 | გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია |
| 5.3 | პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | შესაბამისობაშია |

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო
პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების
თაობაზე

[შეფასების კრიტერიუმები](#)

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ
პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები ზოგადად მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია, ვინაიდან ისინი ითვალისწინებენ კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას კომპიუტერული მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის სფეროში, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ცოდნით, ტექნიკური, ანალიტიკური და ტრანსფერული უნარებით. პროგრამაში ინტეგრირებული ისეთი კომპეტენციები, როგორცაა ალგორითმების ანალიზი, პროგრამირება, რიცხვითი მეთოდები, ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების განვითარება, მეწარმეობა, კომუნიკაცია და ეთიკური ცნობიერება, ასახავს სფეროს ყოვლისმომცველ გაგებას. გარდა ამისა, დაწესებულება წარმოადგენს დასაბუთებას, რომ აღნიშნული მიზნები მიღწევადია პროგრამის სტრუქტურის, რესურსების და სწავლების მეთოდოლოგიების მეშვეობით.

რაც შეეხება სფეროსთან და პროგრამის საფეხურის სპეციფიკასთან შესაბამისობას, მიზნებში სათანადოდ არის ასახული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის ძირითადი სფეროები, რომლებიც მხარდაჭერილია შედარებითი ანალიზით საერთაშორისო და დარგობრივ სტანდარტებთან.

მიზნები ასახავენ კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რაც წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს. აღსანიშნავია მეწარმეობის და ინოვაციების მართვის ინტეგრაცია, რაც შეესაბამება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლების თანამედროვე ტენდენციებს.

პროგრამა აჩვენებს დაწესებულების და ფაკულტეტის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან შესაბამისობას, პირდაპირ აკავშირებს მიზნებს კონკურენტუნარიანობასთან, თანამედროვე განათლებასთან და საერთაშორისო ინტეგრაციასთან. აღნიშნული შესაბამისობა კარგად არის წარმოდგენილი და აკრედიტაციის კონტექსტში მიჩნეულია ძლიერ მხარედ.

შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, წარმოდგენილია მტკიცებულებები დაინტერესებული მხარეების, მათ შორის დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების ჩართულობის შესახებ, ასევე საერთაშორისო პროგრამებთან შედარებითი ანალიზი. აღნიშნული მიუთითებს, რომ გათვალისწინებულია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებები.

ინტერნაციონალიზაციის განზომილება გათვალისწინებულია შედარებითი ანალიზით და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

საჯარო ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, პროგრამა შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებს. პროგრამის სამუშაო ვერსია საჯაროდ იყო გამოქვეყნებული კონსულტაციისათვის, ხოლო საბოლოო სასწავლო გეგმა ხელმისაწვდომი იქნება დაწესებულების ვებგვერდის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ შემუშავების პროცესში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი და გარე დაინტერესებული მხარეები, რეკომენდებულია გაიზარდოს დამატებითი გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

პროგრამის მიზნების სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, გადაიხედოს მიზანი "ხელოვნური ინტელექტის სფეროში ახალი პროდუქტების შექმნაში მონაწილეობა" და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: "კურსდამთავრებულები მზად იქნებიან წვლილი შეიტანონ ხელოვნური ინტელექტის ინოვაციური პროდუქტების და გადაწყვეტილებების შემუშავებაში".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ - ს მისია, მიზნები და სტრატეგია, მისი ფაკულტეტის / სკოლის/ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული და/ან სტრუქტურული ერთეული;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, გადაიხედოს მიზანი „მონაწილეობა ახალი პროდუქტების შემუშავებაში ხელოვნური ინტელექტის სფეროში" და შეიცვალოს შემდეგი ფორმულირებით: "კურსდამთავრებულები მზად იქნებიან წვლილი შეიტანონ ხელოვნური ინტელექტის ინოვაციური პროდუქტების და გადაწყვეტილებების განვითარებაში".

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაიზარდოს დამატებითი გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|------------|----------|
|------------|----------|

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობა / ავტონომიურობის ძირითად სფეროებს. სწავლის შედეგები ასახავს კომპიუტერული მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის ძირითად კომპეტენციებს, მათ შორის ალგორითმულ აზროვნებას, პროგრამირებას, პრობლემების გადაჭრას, კომუნიკაციას, გუნდურ მუშაობას და ეთიკური გადაწყვეტილების მიღებას. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის, ლიდერობის და დამოუკიდებელი მუშაობის გათვალისწინება შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი დადგენილ მოთხოვნას პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის სფეროსთან დაკავშირებით. აღნიშნული შესაბამისობა განმტკიცებულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგობრივი მახასიათებლის და საბაკალავრო დონის აღმწერის მკაფიო მითითებით, რაც ადასტურებს ეროვნულ მარეგულირებელ მოლოდინებთან თანხვედრას. ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას პირველი სწავლის შედეგიდან "Android ინტერფეისების" ამოღების შესახებ, ვინაიდან ის არ არის განხილული სავალდებულო კურსებში. ასევე რეკომენდებულია, გადაიხედოს მეხუთე სწავლის შედეგი, "ანალიზებს კლიენტის მოთხოვნებს, მიცემულ დავალებას და ეძებს გადაწყვეტის გზებს" და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: "ანალიზებს კლიენტის, სიმულირებული მოთხოვნებს, მიცემულ დავალებას და გადაწყვეტის გზებს".

სწავლის შედეგები ასევე წარმოდგენილია, როგორც მიღწევადი და რეალისტური, რომლებიც მხარდაჭერილია პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურით, შესაბამისი რესურსებით და მონიტორინგის და შეფასების მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმებით. პროგრამის შესაბამისობის რუკის, ეტაპობრივი შეფასების პროცესების და პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების არსებობა ასახავს ხარისხის უზრუნველყოფის კარგად ჩამოყალიბებულ მიდგომას. აღნიშნული მექანიზმები შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს სწავლის შედეგების გაზომვადობასთან და ვერიფიკაციასთან დაკავშირებით.

თუმცა, აკრედიტაციის მიზნებისათვის, საჭიროა კონკრეტული სწავლის შედეგების ფორმულირების გაუმჯობესება. სწავლის შედეგების უმეტესობაში გამოყენებულია ისეთი ზმნები, როგორცაა „განსაზღვრავს“, „ახასიათებს“ და „აღწერს“, რომლებიც ზოგადად ასოცირდება კოგნიტური სირთულის უფრო დაბალ დონესთან (მაგალითად, ცოდნა და გაცნობიერება). კომპიუტერული მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამაში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი სტანდარტებით აქცენტი კეთდება მაღალი დონის კოგნიტურ უნარებზე, როგორცაა ანალიზი, დიზაინი, განხორციელება, შეფასება და ინოვაცია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სწავლის შედეგი (მაგალითად, პრობლემების ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება და გადაწყვეტის შემუშავება) ასახავს აღნიშნულ დონეებს, უნდა გაუმჯობესდეს საერთო ბალანსი, იმისათვის, რომ უკეთ შეესაბამებოდეს დარგის მოლოდინებს.

პროგრამა შესაბამისობაშია ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და დარგობრივ მახასიათებელთან, ვინაიდან მითითებულია, რომ ორივე მათგანი იყო გამოყენებული პროგრამის შემუშავების პროცესში. აღნიშნული წარმოადგენს ძლიერ მხარეს და შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს. გარდა ამისა, ინსტრუმენტული, ინტერპერსონალური და სისტემური კომპეტენციების გათვალისწინება ასახავს კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლების ყოვლისმომცველ გაგებას და შეესაბამება ევროპული უმაღლესი განათლების პრაქტიკას.

რაც შეეხება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას და დასაქმებას, სწავლის შედეგები თანხვედრაშია ინდუსტრიის მოლოდინებთან. აქცენტი პრობლემების გადაჭრაზე, კლიენტებთან ურთიერთობაზე, გუნდურ მუშაობაზე და ეთიკურ პასუხისმგებლობაზე ასახავს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის რეალურ გარემოში საჭირო კომპეტენციებს. აღნიშნულ შესაბამისობას კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამის შემუშავების პროცესში დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების ჩართულობა. სწავლის შედეგები ასევე ხელს უწყობს განათლების შემდეგ საფეხურზე გადასვლას, ვინაიდან მოიცავს ანალიტიკურ აზროვნებას, დამოუკიდებელ სწავლებას და კვლევასთან დაკავშირებულ კომპეტენციებს.

სწავლის შედეგების შემუშავება აღწერილია, როგორც თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობს მრავალი დაინტერესებული მხარე, მათ შორის აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და გარე ექსპერტები. აღნიშნული კარგად შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სასურველია გაიზარდოს პროცესში დამატებითი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების საჯარო ხელმისაწვდომობას, ვინაიდან წარმოდგენილია საჯაროდ ხელმისაწვდომ პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო გეგმაში. აღნიშნული აკმაყოფილებს

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებს გამჭვირვალობასთან და დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, პირველი სწავლის შედეგიდან ამოღებულ იქნეს „android ინტერფეისები“.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს მე-5 სწავლის შედეგი „ანალიზებს კლიენტის მოთხოვნებს, დასახულ დავალებას და შეიმუშავებს გადაწყვეტის გზებს“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: "ანალიზებს კლიენტის სიმულირებულ მოთხოვნებს, დასახულ დავალებას და შეიმუშავებს გადაწყვეტის გზებს".
- რეკომენდებულია, დაბალი კოგნიტური სირთულის ზმნები (მაგალითად, ცოდნა და გაცნობიერება) ჩანაცვლდეს უფრო მაღალი კოგნიტური უნარების ამსახველი ზმნებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაიზარდოს დამატებითი გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|--------------------------------|--------------------------|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | მეტწილად შესაბამისობაშია |

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება თანმიმდევრულად და სისტემატურად. პროცესი რეგულირდება ინსტიტუციური დოკუმენტებით, როგორცაა „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია“ და „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“. გამოიყენება პერიოდული შეფასების მექანიზმები, მათ შორის მოკლევადიანი (სემესტრული) და საშუალოვადიანი (ციკლური) შეფასებები, რაც შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს რეგულარული მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით. როგორც პირდაპირი მეთოდების (სტუდენტების მიღწევების შეფასება სწავლის შედეგების მიხედვით), ისე არაპირდაპირი მეთოდების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების უკუკავშირი) გამოყენება ასახავს ყოვლისმომცველ და დაბალანსებულ მიდგომას, რომელიც შეესაბამება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის სფეროს.

შეფასების სისტემა სათანადოდ ითვალისწინებს სფეროს თავისებურებებს და განათლების საფეხურს, განსაკუთრებით სასწავლო გეგმის რუკის, კომპონენტებზე დაფუძნებული შეფასების და პროგრამაში სწავლის შედეგების ინტეგრაციის გზით. ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა შესაბამისობის რუკები და თავსებადობის მატრიცები, წარმოადგენს ძლიერ პრაქტიკას, ვინაიდან აღნიშნული მკაფიოდ განსაზღვრავს, სად და როგორ მიიღწევა და ფასდება თითოეული სწავლის შედეგი. გარდა ამისა, შეფასების სიხშირის, პასუხისმგებელი პირების, შეფასების მეთოდების და სტუდენტების კოჰორტების მკაფიოდ განსაზღვრა ადასტურებს სტრუქტურირებული და გამჭვირვალე სისტემის არსებობას, რაც შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტებს.

პროგრამის მნიშვნელოვანი სტრატეგიაა თითოეული სწავლის შედეგისათვის სამიზნე ნიშნულების დადგენა, რომელიც ოპერატიულად ხორციელდება სამიზნე ნიშნების საშუალებით. სტუდენტების მიღწევების შედარება წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან დასაშვები გადახრის (5 - 10%) გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მიღწევის შეფასების რაოდენობრივ საფუძველს. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებს გაზომვად სწავლის შედეგებთან და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. ასევე, აღსანიშნავია ხარვეზების გამოვლენის და მკორექტირებელი ქმედებების ინიცირების მექანიზმი, როგორცაა სასწავლო გეგმის კორექტირება, სწავლების და შეფასების მეთოდების ცვლილება ან პროგრამის სტრუქტურის მოდიფიცირება, რაც აჩვენებს უწყვეტი გაუმჯობესების უკუკავშირის ციკლის არსებობას.

პროგრამა ასევე უზრუნველყოფს შეფასების პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების, კერძოდ, დამსაქმებლების და ინდუსტრიის წარმომადგენლების ჩართულობას. მათი ჩართულობა პროგრამის შემფასებლების სახით შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს და აძლიერებს სწავლის შედეგების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს შეფასების მეთოდებს, ვინაიდან ისინი მონაწილეობდნენ ინსტიტუციური მეთოდოლოგიების და პროგრამის შემუშავების პროცესებში. სტრუქტურირებული ინსტრუმენტების (მაგალითად, სასწავლო გეგმის რუკები, შეფასების ჩარჩოები) არსებობა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უზრუნველყოფილი ტრენინგები აჩვენებს, რომ შეფასების პროცესში პერსონალი უზრუნველყოფილია სათანადო ხელმძღვანელობით.

ინსტიტუცია უზრუნველყოფს შეფასების პროცესების გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და მეთოდოლოგიები საჯაროდ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გაზიარებულია შეხვედრების და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების მეშვეობით.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა აჩვენებს შეფასების შედეგების პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენების ვალდებულებას. აღწერილი პროცესები მკაფიოდ მიუთითებს, რომ სისტემატურად ხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზი, რაც განაპირობებს გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებას, მათ შორის სასწავლო გეგმის გადასიჯვას, სწავლების და შეფასების მეთოდების მოდიფიცირებას, წინაპირობების კორექტირებას და სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესებას. აღნიშნული ასახავს ხარისხის უზრუნველყოფის კარგად ჩამოყალიბებულ კულტურას და შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებს უწყვეტ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- საგანმანათლებლო პროგრამის / პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- სამიზნე ნიშნულები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|-----------------|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია |

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტიტუციური მეთოდოლოგიის შესაბამისად. დოკუმენტები მკაფიოდ მიუთითებს შიდა მეთოდოლოგიაზე და აღწერს ძირითად ეტაპებს, როგორცაა პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის განსაზღვრა, შესაბამისობის უზრუნველყოფა მიზნებს და სწავლის შედეგებს შორის, ასევე სწავლებისა და შეფასების შესაბამისი მეთოდების შერჩევა. აღნიშნული ასახავს სტრუქტურირებულ და რეგულირებულ მიდგომას, რომელიც აკმაყოფილებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების საფეხურს. პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც განაწილებულია ექვს სემესტრზე, რაც თანხვედრაშია საქართველოს ახალ კანონმდებლობასთან და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) სახელმძღვანელო პრინციპებთან. კრედიტების განაწილება, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების

დამატება და პროგრამის ხანგრძლივობის განსაზღვრა ადასტურებს ფორმალური მარეგულირებელი მოთხოვნების გათვალისწინებას. გარდა ამისა, წინაპირობების და პროგრესის ლოგიკის არსებობა მიუთითებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღმწერთან შესაბამისობაზე.

პროგრამა ასევე შემუშავებულია ქართული კანონმდებლობის და ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, რაც დასტურდება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების მკაფიო სტრუქტურით, კრედიტების განაწილებით და სასწავლო გეგმით. აღნიშნული წარმოადგენს ძლიერი შესაბამისობის მაჩვენებელს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ პრობლემა შექმნას აკრედიტაციის შეფასების პროცესში.

პროგრამის ინდივიდუალობის თვალსაზრისით, სტრუქტურა მოიცავს ელემენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს დიფერენცირებას, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის, მეწარმეობისა და ინოვაციაზე ორიენტირებული კომპონენტების ჩართვის გზით, ასევე სტუდენტებისთვის არჩევითი კურსების მეშვეობით ინდივიდუალური სასწავლო ტრაექტორიის ჩამოყალიბების შესაძლებლობით.

შესაბამისობა პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას, კვალიფიკაციას და სწავლის შედეგებს შორის კარგად არის წარმოჩენილი. პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის გამოყენება უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას ყველა სავალდებულო კომპონენტით. აღწერა ადასტურებს, რომ ყველა კომპონენტი მონაწილეობს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში სხვადასხვა დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), რაც ასახავს თანმიმდევრულ, კომპეტენციებზე დაფუძნებულ დიზაინს.

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია. კომპონენტები ორგანიზებულია პროგრესულად, ძირითადი დონიდან მოწინავე დონისაკენ, რაც უზრუნველყოფს ცოდნის და კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. წინაპირობების და რეკომენდებული სემესტრების არსებობა ხელს უწყობს სათანადო აკადემიურ პროგრესიას. კომპონენტების ერთიანი სისტემა, იზოლირებული კურსების ნაცვლად, წარმოადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებთან შესაბამისობის ინდიკატორს.

პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე სამეცნიერო და კვლევით მიღწევებს, ვინაიდან ეფუძნება შრომის ბაზრის და საერთაშორისო პროგრამებთან შედარებით ანალიზს, ასევე სპეციალისტების წვლილს.

ინტერნაციონალიზაციის განზომილება ასახულია უცხოურ პროგრამებთან შედარებითი ანალიზის და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის მეშვეობით.

პროგრამის შემუშავება აღწერილია როგორც თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ აკადემიური პერსონალის წევრები, დარგის სპეციალისტები და გარე ორგანიზაციები, რაც შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს.

პროგრამა უზრუნველყოფს საჯარო ხელმისაწვდომობას და გამჭვირვალობას. სასწავლო გეგმა და პროგრამის აღწერა გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე და მოიცავს ყოვლისმომცველ ინფორმაციას პროგრამის შესახებ, მათ შორის სტრუქტურას, სწავლის შედეგებს, დაშვების წინაპირობებს და საკონტაქტო მონაცემებს. აღნიშნული სრულად აკმაყოფილებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

და ბოლოს, პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული, თანმიმდევრულია და შეესაბამება რეგულაციებს. შინაარსი, სწავლის შედეგები და კვალიფიკაციის მოთხოვნები მჭიდრო თანხვედრაშია. სასწავლო გეგმის რუკის, ლოგიკური პროგრესის და მოქნილი არჩევითი კომპონენტების გამოყენება ასახავს კარგ პრაქტიკას. აღნიშნულის მიუხედავად, სასწავლო გეგმას მოთხოვნის შესაბამისად უნდა დაემატოს კიბერუსაფრთხოების ინდივიდუალური სასწავლო კურსი ან შესაბამისი თემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია და/ან წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული სილაბუსები;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო გეგმას დაემატოს უსაფრთხოების კურსი ან შესაბამისი თემები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

| კომპონენტი | შეფასება |
|---|--------------------------|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | მეტწილად შესაბამისობაშია |

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➤ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაბამისობა კურსის სწავლის შედეგებს და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის დადგენილი იქნება მოქმედი ქართულენოვანი პროგრამის ანალოგიურად. დოკუმენტებით და ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ყველა სავალდებულო კომპონენტი ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას და აღნიშნული კავშირი განსაზღვრულია სილაბუსების შემუშავების ეტაპზე შედგენილი თავსებადობის და შესაბამისობის რუკების მეშვეობით. აღნიშნული ასახავს სისტემურ და შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს.

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სათანადოდ არის შემუშავებული მის სწავლის შედეგებთან მიმართებით. უნივერსიტეტი ხაზს უსვამს, რომ კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და შეფასების მიდგომები ურთიერთთავსებადია და შესაბამისობაშია მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. სტრუქტურირებული სილაბუსის ფორმატი, რომელიც მოიცავს მიზნებს, სწავლის შედეგებს, შინაარსობრივ თემებს, სწავლების მეთოდებს და შეფასების კრიტერიუმებს ასახავს თანმიმდევრულ და სტანდარტიზებულ მიდგომას. აღნიშნული წარმოადგენს შესაბამისობის ძლიერ მაჩვენებელს.

რაც შეეხება კრედიტების განაწილებას და სასწავლო დატვირთვას, პროგრამა იცავს ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის პრინციპებს. თითოეული კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა ეფუძნება სტუდენტის სამუშაო დატვირთვას, რომელიც საჭიროა მოსალოდნელი სწავლის შედეგების მისაღწევად და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს. სტუდენტის სამუშაო დატვირთვის შეფასების ფორმის გამოყენება საშუალებას იძლევა ემპირიულად გადამოწმდეს სამუშაო დატვირთვის მიზანშეწონილობა, რაც ხელს უწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას. აღნიშნული შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

მოლოდინებს კრედიტების განაწილებასთან და სამუშაო დატვირთვის ბალანსის ადეკვატურობასთან დაკავშირებით.

პროგრამა თითოეული კურსის სწავლის შედეგის მიღწევას აფასებს შუალედური და დასკვნითი შეფასებების, ასევე პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების კომბინაციის გამოყენებით. სილაბუსებში მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების ფორმების, კრიტერიუმების და შეფასების სისტემების გათვალისწინება ხელს უწყობს გამჭვირვალობას და თანმიმდევრულობას.

სწავლება - სწავლის რესურსების, მათ შორის სავალდებულო ლიტერატურის უზრუნველყოფა წარმოადგენს სილაბუსის სტრუქტურის ნაწილს. სილაბუსების მიხედვით რესურსები ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებსა და ინოვაციებს, რაც დარგის მიმდინარე განვითარების გათვალისწინებაზე მიუთითებს.

პროგრამა აჩვენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის არსებობას შესაბამისობის რუკების, სამუშაო დატვირთვის ანალიზის და კურსების ეფექტიანობის უწყვეტი მონიტორინგის გამოყენებით. კურსის შინაარსის, სამუშაო დატვირთვის და სწავლების მეთოდების გადასინჯვა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით აჩვენებს კარგად ჩამოყალიბებული და მოქნილი სისტემის არსებობას.

თითოეული სილაბუსის სტრუქტურა ყოვლისმომცველია და შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს. მათში მოცემულია ყველა აუცილებელი ელემენტი, კერძოდ: წინაპირობები, კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემას და ლიტერატურა. სილაბუსების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია ინსტიტუციური სასწავლო პლატფორმის (BTUClass Rooms) მეშვეობით, ხოლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა ხელს უწყობს გამჭვირვალობას.

აღნიშნულის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსს „ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება“ შეეცვალოს სახელწოდება და დაკორექტირდეს თემატიკა, იმისათვის, რომ კურსი სრულად ეხებოდეს „მანქანურ სწავლებას“; ანალოგიურად, რეკომენდებულია, შეიცვალოს სასწავლო კურსის „მანქანური სწავლების (გაღრმავებული სწავლება)“ სახელოწოდება და ეწოდოს "გაღრმავებული სწავლება".

„მონაცემთა დაცვის“ სასწავლო კურსის წინაპირობა არ არის რელევანტური.

სილაბუსებში მითითებული ზოგიერთი თემა არ იძებნება სასწავლო კურსის ლიტერატურაში; მაგალითად, „ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების“ კურსის ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი ბლოკჩეინის და IOT - ის თემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამადა თანდართული სილაბუსები;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო მასალები / რესურსები, სილაბუსებში მითითებული საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები.

რეკომენდაციები.

- სილაბუსებში მითითებული ზოგიერთი თემა არ იმეზნება სასწავლო კურსის ლიტერატურაში; მაგალითად, „ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების“ კურსის ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი ბლოკჩეინის და IOT - ის თემები. რეკომენდებულია, ლიტერატურასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გადამოწმდეს სასწავლო კურსით გათვალისწინებული თემები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სასწავლო კურსს „ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება“ შეეცვალოს სახელწოდება და დაკორექტირდეს თემატიკა, იმისათვის, რომ კურსი სრულად ეხებოდეს „მანქანურ სწავლებას“; ასევე რეკომენდებულია, შეიცვალოს სასწავლოკურსის „მანქანური სწავლების (გაღრმავებული სწავლება)“ სახელოწდება და ეწოდოს "გაღრმავებული სწავლება".
- სასურველია, „მონაცემთა დაცვის“ სასწავლო კურსის წინაპირობა ჩანაცვლდეს უფრო რელევანტური კურსით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|--------------------------|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | მეტწილად შესაბამისობაშია |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება საყოველთაოდ დადგენილი პროცედურების შესაბამისად. მიღების მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ასახავს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი პირების ჩარიცხვას, რომლებსაც გააჩნიათ პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. აღნიშნული მოთხოვნები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

დაშვების წინაპირობები და პროცედურები გაწერილია პროგრამაში და გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე სამუშაო ვერსიის სახით.

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N 224 / ნ ბრძანების შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე.

სასურველია, განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარი. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა უნივერსიტეტის პირველი ინგლისურენოვანი პროგრამაა, შესაბამისად, დაგეგმილია სამომავლოდ სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონის გაანალიზება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მინიმალური ზღვარი.

სტანდარტით განსაზღვრული მიღების პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე სასურველია პროგრამას დაემატოს საგნების ჩამონათვალი, რომლებიც აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

პროგრამის დაშვების წინაპირობები ზოგადად ასახავს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს იმ პირების ჩარიცხვას, რომლებსაც გააჩნიათ პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.

თითოეულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და მექანიზმები“. სტუდენტთა მიღების დაგეგმვისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსურ, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა რაოდენობრივ მაჩვენებლებს, როგორცაა: პროგრამაზე მოთხოვნის დინამიკა, ჩარიცხვის ტენდენციები პროგრამების

მიხედვით, სტუდენტების მობილობის ტენდენციები (შემომავალი და გამავალი), სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა, კურსდამთავრებულების რაოდენობა, პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების და სხვა შესაბამისი მაჩვენებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს აბიტურიენტის მიერ ეროვნულ გამოცდაზე ჩასაბარებელი საგნების ჩამონათვალი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დადგინდეს ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური გამსვლელი ზღვარი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---------------------------------------|--------------------------|
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | მეტწილად შესაბამისობაშია |

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ავითარებს სტუდენტების პრაქტიკულ, სამეცნიერო/კვლევით და ტრანსფერულ უნარებს განათლების საფეხურის, მოსალოდნელი სწავლის შედეგების და პროექტებში მათი ჩართულობის შესაბამისად. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი უზრუნველყოფს სწავლის შედეგებთან და განათლების საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობას. სტუდენტების პრაქტიკული უნარების

განვითარება მხარდაჭერილია სხვადასხვა საგანმანათლებლო კომპონენტში ინტეგრირებული პრაქტიკული აქტივობებით. უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო ლაბორატორიებით, რომლებიც აღჭურვილია საჭირო ტექნიკური და პროგრამული რესურსებით.

უნივერსიტეტს პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები. ინტერვიუების ფარგლებში დამსაქმებლებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინებას.

სტუდენტების კვლევითი კომპეტენციების განვითარების მიზნით ძირითად კურსებში ინტეგრირებულია "წერის ტექნიკები" და „პრაქტიკული პროექტი“. გარდა ამისა, თავისუფალი არჩევითი კომპონენტი მოიცავს „აკადემიური წერის“ კურსს.

პრაქტიკული პროექტი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად ან სულ მცირე სამი სტუდენტისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ. თითოეული სტუდენტი ვალდებულია მოამზადოს პროექტი მათთვის საინტერესო თემაზე ძირითადი სპეციალობის ფარგლებში და წარადგინოს პრეზენტაციის სახით. აღნიშნული პროცესი სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიდრმავონ არსებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები და შეიძინონ ახალი კომპეტენციები. პრეზენტაცია უნდა მოიცავდეს პროექტის „საპილოტე“ ვერსიას. ყველა პროექტი სავალდებულოდ მოწმდება პლაგიატის საწინააღმდეგო Turnitin - ის პროგრამის მეშვეობით. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა ახალია და „პრაქტიკული პროექტის“ კომპონენტი ასევე ახლახანს იქნა ინტეგრირებული მომიჯნავე პროგრამებში, ექსპერტებს არ ჰქონდათ საშუალება შეეფასებინათ შესრულებული პროექტები.

პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება უზრუნველყოფილია თითოეული კურსისთვის მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებით, სასწავლო დატვირთვით და მოსალოდნელი სწავლის შედეგებით. კომპონენტები სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია პროგრესის ლოგიკით, რომელიც საბაზისო უნარებიდან ვითარდება გამოყენებით კვლევამდე და პროექტზე დაფუძნებულ სწავლებამდე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობას.

უნივერსიტეტი სტუდენტების კვლევით აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობას უზრუნველყოფს სტუდენტური კონფერენციების და სტარტაპ - პროექტებს ორგანიზების მეშვეობით. აკადემიური პერსონალი აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტებს და ხელმძღვანელობს მათ აღნიშნული ინიციატივების განმავლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი;

- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 2.2. პრაქტიკული, კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ტრანსფერული განვითარება | სამეცნიერო/ და უნარების შესაბამისობაშია |

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა მოიცავს სტუდენტების შეფასების სისტემას, რომელიც ნათლად არის აღწერილი და შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტულ პრაქტიკას. შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი შეფასების სკალით, რომელიც მოიცავს დადებითი შეფასების ხუთ კატეგორიას (A-E) და უარყოფითი შედეგების ორ ტიპს (FX და F). განსაზღვრულია შეფასების სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა წერიტი და ზეპირი ფორმები, ასევე პრაქტიკული სამუშაოები, პრეზენტაციები და სხვადასხვა ტიპის პროექტები. ზემოაღნიშნული, ლექტორებს საშუალებას აძლევს აირჩიონ შეფასების ის ინსტრუმენტები, რომლებიც შეესაბამება თითოეული კურსის სწავლის შედეგებს. შეფასების კრიტერიუმები დადგენილია კურსის სილაბუსებში, ხოლო მათზე წვდომას სტუდენტები უნივერსიტეტის ონლაინ პლატფორმებისა და სწავლის მართვის სისტემების საშუალებით იღებენ. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ლექტორები მკაცრად მისდევენ სასწავლო გეგმაში მითითებულ პროგრამის ჩარჩოს.

სტუდენტებთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები სრულად გამჭვირვალეა. სტუდენტები კმაყოფილები არიან ლექტორებთან ურთიერთობით და საჭიროების შემთხვევაში, უკუკავშირი დროული და კონსტრუქციულია.

გარდა ამისა, სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ისინი სრულად არიან ინფორმირებულნი თავიანთი უფლებებისა და აკადემიური რეგულაციების შესახებ, რომლებიც მათ ადმინისტრაციულმა პერსონალმა სასწავლო პროცესის დაწყებამდე გააცნო. ინტერვიუს პროცესმა აჩვენა, რომ სტუდენტებმა კარგად იციან მათი შეფასებების გასაჩივრების პროცედურები. აღინიშნა, რომ არ ყოფილა შეფასების გასაჩივრების შემთხვევები, რომლებიც გამჭვირვალობასთან ან სამართლიანობასთან დაკავშირებით კითხვებს გამოიწვევდა. თუმცა, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან გასაჩივრების პროცედურების შესახებ. გარდა ამისა, სტუდენტებმა განაცხადეს, რომ როდესაც მათ ტესტებთან დაკავშირებით კითხვები აქვთ, ისინი კონსულტაციებს გადიან ლექტორებთან და ერთად დეტალურად განიხილავენ შედეგებს. აღნიშნული მიუთითებს, რომ შეფასების სისტემა სტუდენტების მიერ სამართლიანად და გამჭვირვალედ აღიქმება.

კურსების ფარგლებში, სემესტრის ბოლოს სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათი სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, რაც მოიცავს ინფორმაციას, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ამგვარი უკუკავშირის მისაცემად ლექტორები სრულად არიან მომზადებულნი. სემესტრის დასრულების შემდეგ, სტუდენტები ელექტრონული სისტემის საშუალებით აფასებენ დასრულებულ კურსს და პროფესორს. სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ ლექტორებთან მჭიდრო კომუნიკაციას ინარჩუნებენ.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას პლაგიატთან დაკავშირებით კარგად ჩამოყალიბებული პოლიტიკა აქვს. სტუდენტის შეფასების პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აკადემიური და კვლევითი ეთიკის, ასევე აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. უნივერსიტეტმა დანერგა პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე სათანადო რეაგირების მექანიზმები, რაც გულისხმობს სტუდენტების ნაშრომების შემოწმებას და დარღვევების შემთხვევაში, შესაბამისი ზომების მიღებას.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ და იცნობენ შესაბამის დოკუმენტებს, რაც დადასტურდა ინტერვიუების პროცესში. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობას, სამართლიანობას და მაღალი ხარისხის სტანდარტებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სისტემატურად ანალიზებს შეფასების შედეგებს, რის საფუძველზეც ხდება სწავლების პროცესისა და სწავლების მეთოდების გაუმჯობესება, რაც ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებასა და ეფექტურობას.

BTU უზრუნველყოფს სტუდენტების შეფასების პროცესის ეფექტურ და გამჭვირვალე ორგანიზებას. საჭიროების შემთხვევაში, კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება ელექტრონული და დისტანციური შეფასების მეთოდები. კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია და მოქმედებს შეფასების შედეგების გასაჩივრების მკაფიო პროცედურა.

პროგრამა იყენებს სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალე და სამართლიან სისტემას, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტულ პრაქტიკას. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ, იღებენ დროულ უკუკავშირს და აქტიურად თანამშრომლობენ ლექტორებთან. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპები დაცულია და მოქმედებს პლაგიატის პრევენციის მექანიზმები.

შეფასების შედეგები ანალიზდება და გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. საერთო ჯამში, შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სანდოობას, გამჭვირვალობასა და ეფექტურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში;
- o ადგილზე ჩატარებული გასაუბრების შედეგები;
- o ვებ-გვერდი;
- o შიდა რეგულაციები;
- o სასწავლო პროცესის მართვის სისტემა;
- o ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი;
- o ელექტრონული სწავლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რეგულაციები;
- o ბაკალავრის ხარისხის რეგულაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|----------------------------------|-----------------|
| 2.4.სტუდენტების შეფასება: | შესაბამისობაშია |

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს

მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

BTU-ს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, აშკარაა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და სასწავლო პროგრამების შესახებ. უნივერსიტეტს აქვს დამხმარე მექანიზმები სტუდენტებისთვის - ეს მათ უნივერსიტეტის გარემოში ინტეგრაციაში ეხმარება. როგორც ადმინისტრაციულ, ასევე აკადემიურ პერსონალს მჭიდრო კომუნიკაცია აქვს სტუდენტებთან, რაც დადასტურდა სტუდენტებთან პირდაპირი ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში სტუდენტთა უფლებები და მათი კანონიერი ინტერესები სრულად არის უზრუნველყოფილი და დაცული. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან და იცნობენ საკუთარ უფლებებს.

სტუდენტებს აქვთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესის და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ - ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებულობას. თუკი არსებობს სტუდენტების მხრიდან შესაბამისი საჭიროება, BTU მხარს უჭერს ინდივიდუალური სასწავლო პროცესის დაგეგმვას. ლექტორებთან სტუდენტების კონსულტაციები ხორციელდება სამუშაო საათებში, რომლებიც კონკრეტულად არის განსაზღვრული სასწავლო გეგმებში. ამასთანავე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ კურსის კოორდინატორებთან საკმაოდ მჭიდრო და პირდაპირი კომუნიკაცია აქვთ.

დაწესებულებაში აქტიურად იმართება დასაქმების ფორუმები. უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და ორგანიზებებს უწევს მათ ჩართულობას. აღნიშნული მთლიანად ემსახურება სტუდენტების კარიერულ განვითარებას. გარდა ამისა, BTU-ში აქტიურად იმართება ღონისძიებები და საჯარო ლექციები, რაც სტუდენტებს დამატებით შესაძლებლობებს აძლევს.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი სწავლის ფარგლებში, მხარს უჭერს სტუდენტების მონაწილეობას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებში. დაწესებულება რეგულარულად სთავაზობს სტუდენტებს მონაწილეობის მიღებას კონფერენციებსა და სხვადასხვა სახის აკადემიურ ღონისძიებებში. თავის მხრივ, ვებგვერდის, სოციალური მედიისა და პირადი კომუნიკაციის საშუალებით, სტუდენტებს აქტიურად მიეწოდებათ ინფორმაცია ამ შესაძლებლობების შესახებ.

გარდა ამისა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ პროგრამაში და ჰყავს საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები, რომლებიც სტუდენტებს დამატებით შესაძლებლობებსა და გამოცდილებას აძლევენ იმისათვის, რომ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით და მიიღონ განათლება.

დაწესებულება ხელს უწყობს და მხარს უჭერს სტუდენტურ აქტივობებს და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას. უნივერსიტეტში არ არსებობს სტუდენტური თვითმმართველობა; თუმცა, სტუდენტებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომლის მეშვეობითაც ისინი გეგმავენ კონკრეტულ სოციალურ, კულტურულ და სპორტულ აქტივობებს, რომლებიც მათ ინტერესებს შეესაბამება. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აქტივობები მრავალფეროვანია და რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტურ ცხოვრებას.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, სადაც უზრუნველყოფილია ინფორმირებულობა, მხარდაჭერა და უფლებების დაცვა. სტუდენტებსა და პერსონალს შორის მჭიდრო კომუნიკაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ მართვასა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. უნივერსიტეტი, სხვადასხვა ღონისძიებების, პროექტებისა და საერთაშორისო შესაძლებლობების მეშვეობით, აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას. უნივერსიტეტმა შექმნა გარემო, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიურ და სოციალურ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში;
- o ადგილზე ჩატარებული გასაუბრების შედეგები;
- o ვებ-გვერდი;
- o პროგრამით გათვალისწინებული კურსების სილაბუსები;
- o საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- o დებულება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების შესახებ;
- o შინაგანაწესი;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|--|-----------------|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები | შესაბამისობაშია |

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| მაგისტრანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები | |
|--|--|
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|--------------------|
| 3.2.მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა | აირჩიეთ შესაბამისი |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც მოიცავს, როგორც აკადემიურ

პერსონალს, ასევე მოწვეულ ექსპერტებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრულ კომპეტენციებთან შესაბამისობა დასტურდება, პროგრამაზე თანდართული მათი პერსონალური საქმეებით, გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებით და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობით.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია, როგორც ერთი საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი აკადემიური პერსონალი. საერთო ჯამში, პროგრამას უძღვება 31 აკადემიური და 26 მოწვეული პერსონალი (იხილეთ დეტალური ცხრილი ქვემოთ). პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შედგება მაღალკვალიფიციური პროფესიონალებისგან, რომლებსაც აქვთ საჭირო კომპეტენციები, რათა სტუდენტებს გაუწიონ დახმარება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. მათი გამოცდილება უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სწავლებასა და ეფექტურ ხელმძღვანელობას მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. პერსონალის შერჩევა ხორციელდება გამჭვირვალე პროცედურებით, კონკურენტული შერჩევის პრინციპის საფუძველზე და უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების პოლიტიკის შესაბამისად. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობდა კვლევაში, დაახლოებით 76 პუბლიკაციით საერთაშორისო რეცენზირებულ ჟურნალებში და დაახლოებით 200 სტატიით ადგილობრივ ჟურნალებში.

ისინი ასევე აქტიურად მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში. პერსონალი ჩართულია პრაქტიკულ და სამეცნიერო პროექტებში, რაც უზრუნველყოფს კვლევითი და გამოყენებითი აქტივობების ინტეგრაციას სწავლებაში (Erasmus+, შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ა.შ.). აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად ფუნქციონირებას. ეს სტრუქტურა საშუალებას იძლევა, სათანადო ბალანსი იყოს დაცული სწავლებასა და სამეცნიერო საქმიანობას შორის, ასევე უზრუნველყოფს სხვა დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. პერსონალის შემადგენლობასა და ჩართულობასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები პროგრამის გრძელვადიან მდგრადობასა და აკადემიურ სიძლიერეზე მიუთითებს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება უნივერსიტეტის შინაგანაწესს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

პროგრამას უშუალოდ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის, ბიბლიოთეკის, ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურების კვალიფიციური პერსონალი უძღვება, რაც პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას უზრუნველყოფს.

პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პროფესორია, გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილება, რათა გაუძღვეს და კოორდინაცია გაუწიოს პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესს, რასაც ადასტურებს პროგრამაზე თანდართული პერსონალური საქმე. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დოქტორის ხარისხი სწავლების სფეროში და დიდი სამეცნიერო და პროფესიული გამოცდილება.

პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს მხარდაჭერას უწევს საკმარისი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია და კომპეტენციები. აღნიშნული კი უზრუნველყოფს, რომ სწავლის მთლიანი ხანგრძლივობის განმავლობაში, სტუდენტებმა მიიღონ ეფექტური აკადემიური, ტექნიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერა.

| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁵ | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|--|---|---|--|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | 31 | 14 | 6 | 5 |
| - პროფესორი | 11 | 8 | 5 | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 13 | 3 | 1 | 1 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 7 | 3 | | 2 |
| - ასისტენტი | - | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 26 | 13 | 2 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - | - |
| საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით | 1 | 1 | | |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა;
- პერსონალის CV-ები;
- აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების მონაცემები;

⁵ძირითადი

სწავლის სფეროს კომპონენტების განმარტებული შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|--------------------------------|-----------------|
| 4.1. ადამიანური რესურსი | შესაბამისობაშია |

4.2 მაგისტრანტების ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრატურის სტუდენტებს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომის ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|-------------------------|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | | | |
| - პროფესორი | | | |
| - ასოცირებული პროფესორი | | | |
| - ასისტენტ-პროფესორი | | | |

| | | | |
|----------------------|--|--|---|
| მოწვეული პერსონალი | | | – |
| სამეცნიერო პერსონალი | | | – |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|--------------------|
| 4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია | აირჩიეთ შესაბამისი |

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან და პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტებიდან ირკვევა, უნივერსიტეტის არსებული რეგულაციების შესაბამისად, აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთი მექანიზმი ინდივიდუალური სამუშაო დატვირთვის სქემის განხილვა და ანალიზია, რომელიც მოიცავს სასწავლო-პედაგოგიურ, კვლევით, სტუდენტების

მხარდაჭერის აქტივობებს და სხვ. ამ შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი, ხოლო, პროგრამის ეფექტური განხორციელების მხარდაჭერის მიზნით, შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები ეცნობება აკადემიურ პერსონალს.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა აგრეთვე აჩვენა, რომ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება უნივერსიტეტის მხრიდან სისტემატიურად მხარდაჭერილია. პერსონალი რეგულარულად ინფორმირებულია სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით პროექტებში, უცხოურ უნივერსიტეტებში მობილობის პროგრამებში მონაწილეობისა და სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების დაფინანსების/თანადაფინანსების შესაძლებლობების შესახებ.

უნივერსიტეტში შეიქმნა კვლევითი ცენტრი, რომელიც სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე კვლევით პროექტებში, დამოუკიდებლად შეარჩიონ მათთვის საინტერესო კვლევითი თემები, ჩაერთონ დაგეგმვაში, განხორციელება და შედეგების ანალიზში, ასევე გაიუმჯობესონ ცოდნა და კვლევითი უნარები. გარდა ამისა, კვლევითი ცენტრის ინიციატივით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის ყოველწლიურად იმართება კონკურსი, რომელიც სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობასა და მეცნიერების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ამ კონკურსის ლაურეატებს ფულადი პრიზები გადაეცემათ. ასევე ტარდება შიდა გრანტების კონკურსი, რომელიც აკადემიურ პერსონალს საშუალებას აძლევს დაფინანსებისთვის წარადგინოს კვლევითი წინადადებები. სასურველია, ბიუჯეტის გაზრდა ისე, რომ წელიწადში ერთზე მეტ თანამშრომელს შეეძლოს გრანტის დაფინანსებით სარგებლობა. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით და ასევე მიზნად ისახავს, სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, ინტეგრირებული საგრანტო პროექტების განხორციელებას.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგებსა და პროფესიულ განვითარებას, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული სწავლების პლატფორმების, დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიებისა და ონლაინ შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურ გამოყენებას. ეს ტრენინგები ტარდება სემინარების, ვებინარების, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების (მაგ., Erasmus+, DAAD) და სპეციალიზებული კურსების მეშვეობით, რაც პერსონალს საშუალებას აძლევს ციფრული სწავლებისა და შეფასების მეთოდებს ინტეგრირება გაუკეთონ აკადემიურ პრაქტიკაში.

პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, უნივერსიტეტი, ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მმართველობის სფეროებში, ინტერნაციონალიზაციისა და თანამშრომლობის მაღალ დონეს ავლენს უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან, როგორცაა: ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერებათა

უნივერსიტეტი, გერმანია; ვილნიუსის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი; კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი; აშაფენბურგის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია; ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტი (ბრაგანსა) და სხვა. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს უწყობს პერსონალის მობილობასა და საერთაშორისო კოლეგებთან გამოცდილების გაზიარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი.
- თვითშეფასების ანგარიში;
- მემორანდუმები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, შიდა გრანტის ბიუჯეტის გაზრდა ისე, რომ წელიწადში ერთზე მეტ აკადემიურ პერსონალს შეეძლოს დაფინანსების მიღება. აღნიშნული გაზრდის მოტივაციას, გააფართოებს კვლევით საქმიანობას და მხარს დაუჭერს პროგრამების გრძელვადიან განვითარებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|--|-----------------|
| 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაშია |

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას უზრუნველყოფილია ადეკვატური მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით, მათ შორის ტექნოლოგიურად ადჭურვილი აუდიტორიებით, კომპიუტერული ლაბორატორიებითა და ძლიერი IT ინფრასტრუქტურით. ცენტრალიზებული სისტემების, მადალსიჩქარიანი ინტერნეტ კავშირის, უსაფრთხო ქსელებისა და პროფესიონალური დონის პროგრამული უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობა მიუთითებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამის გარემოს განათლების მიწოდებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით. აღნიშნული რესურსები შეესაბამება დარგის საჭიროებებს და საკმარისია როგორც რაოდენობით, ასევე ხარისხით, რაც შესაბამისობის კარგი მაჩვენებელია.

დაწესებულება ასევე ავლენს სისტემურ მიდგომას რესურსების განახლების მიმართ, განსაკუთრებით ბიბლიოთეკის კოლექციებთან და ციფრულ მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებით. ბიბლიოთეკის ფონდების მნიშვნელოვანი ზრდა, ახალი ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზების მუდმივ მონიტორინგთან და შექმნასთან ერთად, მიუთითებს დაწესებულების აქტიურ ძალისხმევაზე, რომელიც მიმართულია რესურსების განახლებული სახით შენარჩუნება/შენახვისკენ.

როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული მასალების ხელმისაწვდომობა, რაც გამყარებულია ელექტრონული კატალოგითა და დისტანციური წვდომის სისტემით, სტუდენტებისა და პერსონალისთვის საჭირო რესურსებზე ეფექტურ წვდომას უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისოდ აღიარებულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ფართო სპექტრზე, მათ შორის Scopus-ზე, ScienceDirect-ზე, EBSCO-ზე, Cambridge University Journals-ზე, SAGE-ზე და სხვა.

გარდა ამისა, ისეთი ინსტრუმენტების ინტეგრაცია, როგორცაა Turnitin პლაგიატის გამოვლენისთვის და ციფრული სწავლებისა და პროექტების მართვისთვის ცოდნის ბანკის პლატფორმა, ასახავს რესურსებით უზრუნველყოფის მიმართ მომავალზე ორიენტირებულ და ინოვაციურ მიდგომას. აღნიშნული ინსტრუმენტები აძლიერებს როგორც აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ასევე სტუდენტების პროდუქტიულობას, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე.

მატერიალური და ციფრული რესურსები თავისუფლად და თანაბრად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის, ინსტიტუციური რეგულაციები კი უზრუნველყოფს არადისკრიმინაციულ წვდომას. მონაცემთა ბაზებსა და ციფრულ პლატფორმებზე დისტანციური წვდომის შესაძლებლობა კიდევ უფრო აძლიერებს ამ ასპექტს, განსაკუთრებით კი მოქნილი და დამოუკიდებელი სწავლების მხარდაჭერის კუთხით.

დაწესებულება ასევე ავლენს შესაძლებლობებს ელექტრონული და დისტანციური სწავლების მეთოდების მხარდაჭერის მიმართულებით, ისეთი პლატფორმების მეშვეობით, როგორცაა BTU Classroom, Google Classroom და ExamJet-ის ელექტრონული გამოცდების სისტემა. სასწავლო გეგმებში მინიმალური

ტექნიკური მოთხოვნების მითითება განაპირობებს, რომ სტუდენტები, ციფრულ სასწავლო გარემოში ჩასართავად, სათანადოდ იყვნენ მომზადებულნი.

სტუდენტებს, მათთვის ხელმისაწვდომი რესურსების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ დაწესებულების ვებ გვერდისა და სისტემების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკა, მატერიალური, ინფორმაციული და ციფრული რესურსები;
- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომა და ბიბლიოთეკის წიგნების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომის მაჩვენებლები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|-----------------|
| 4.4 მატერიალური რესურსი | შესაბამისობაშია |

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა გამყარებულია მკაფიოდ განსაზღვრული და სტრუქტურირებული ბიუჯეტით, რაც მის ფინანსურ მდგრადობასა და ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს.

პროგრამის ბიუჯეტი ძირითადად სწავლის საფასურიდან მიღებულ შემოსავლებზე დაფუძნებული, რომელიც პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში სტუდენტების პროგნოზირებული ჩარიცხვისა და პროგრესის მიხედვით გამოითვლება. ბიუჯეტი ასახავს სტუდენტების რაოდენობისა და შესაბამისი შემოსავლის გენერირების რეალისტურ პროგნოზებს, რაც უზრუნველყოფს ფინანსურ მიზანშეწონილობას.

ხარჯების სტრუქტურა მიუთითებს, რომ ფინანსური რესურსები პირდაპირ გამოიყოფა პროგრამის განხორციელების საჭიროებებზე, მათ შორის: აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება, პროგრამული და ტექნოლოგიური რესურსები, ბიბლიოთეკისა და სასწავლო რესურსების შემუშავება, პროგრამის შემუშავება და პერსონალის კვლევითი მხარდაჭერა, სტუდენტების მხარდაჭერის ინიციატივები და ოპერაციული და ადმინისტრაციული ხარჯები.

ბიუჯეტი ასევე მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯების (მაგ., აკრედიტაცია), პერსონალის განვითარებისა და კვლევითი საქმიანობის, ასევე გაუთვალისწინებელი ხარჯების შესახებ ჩანაწერებს, რაც ხელს უწყობს ფინანსური რისკების მართვასა და პროგრამის უწყვეტობას.

დაგეგმილი ბიუჯეტი შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დადებით ბალანსს აჩვენებს და პროგრამის სპეციფიკურ ხარჯებს ეფუძნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|--|-----------------|
| 4.5.პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და | შესაბამისობაშია |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე) პრინციპს და უწყვეტი განვითარების ციკლი ეფექტურად ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის, პროცედურებისა და პოლიტიკის შესაბამისად. ვინაიდან აკრედიტაციისთვის წარდგენილი პროგრამა ახალია, სრული ციკლი ჯერ კიდევ არ არის დაწესებული და დემონსტრირებული, თუმცა, დაგეგმვის ეტაპზე გამოყენებული იქნა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების ყველა შესაბამისი მექანიზმი (მათ შორის, პროგრამის შიდა შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის მიერ და გარე მიმოხილვა, რომელიც ჩატარდა დარგის წარმომადგენლების მიერ, სამუშაო და საგანმანათლებლო ბაზრის ანალიზი).

პროგრამა შემუშავდა სტრუქტურირებული, მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული პროცესის მეშვეობით, რომელიც შეესაბამება ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცენტრალურ როლს ასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობების მეშვეობით:

- მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის გაწევა;
- აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- პროგრამის დიზაინისა და შედეგების შეფასება;
- და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში წვლილის შეტანა.

პროგრამას მხარს უჭერს ინსტიტუციური მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია; შესაბამისი ფორმები და ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემურ და გამჭვირვალე ჩარჩოს.

ამკარად დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლობითი ხასიათი. თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე. ასევე დადებით მიგნებად უნდა ჩაითვალოს დარგის წარმომადგენლების/დამსაქმებლების ჩართულობა. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ დამსაქმებლები მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებასა და დაგეგმვაში, კერძოდ, ჩართულნი იყვნენ შრომის ბაზრის კვლევასა და კონსულტაციებში.

აღნიშნული მიუთითებს, რომ თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესი სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობასა და ჩართულობას მოითხოვს, რაც პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაში მრავალფეროვან პერსპექტივას უზრუნველყოფს. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ამკარა იყო ინტერვიუების შედეგებიდანაც. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ხარისხის კულტურა, საერთო პასუხისმგებლობითა და ჩართულობით, ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, რაც ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებზეც ვრცელდება.

პროგრამის შეფასების შედეგები გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენება, მათ შორის: კურსის შინაარსისა და სტრუქტურის მოდიფიცირებისთვის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების გადახედვისთვის, პროგრამის კომპონენტებისა და კრედიტების განაწილების კორექტირებისთვის, სტუდენტების მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესებისთვის. როგორც აღინიშნა, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალი შემუშავებულია, ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების დანერგვის შედეგები ჯერ არ არის გამოყენებული, თუმცა, ინტერვიუების შედეგად გამოკვეთა, პროცესების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის განმახორციელებლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობა.

დაწესებულება უზრუნველყოფს ელექტრონული და დისტანციური სწავლების განხორციელებას რეგულირებადი მეთოდოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით, რომელიც მოიცავს ონლაინ გარემოსთან ადაპტირებულ სწავლების, შეფასებისა და მონიტორინგის განსაზღვრულ პროცედურებს. ელექტრონული სწავლების ხარისხს ხელს უწყობს სწავლების პროცესის, სტუდენტების პროგრესისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის სისტემატური მონიტორინგი, ასევე მასალების მიწოდების, კომუნიკაციისა და შეფასებისთვის ცენტრალიზებული ციფრული პლატფორმების გამოყენება.

გარდა ამისა, ელექტრონული სწავლებისთვის დაწესებულება იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციფიკურ მექანიზმებს, მათ შორის მონიტორინგის ჯგუფების მიერ უწყვეტ დაკვირვებას, ონლაინ გარემოში სწავლის შედეგების ანალიზს და ტრადიციული და დისტანციური სწავლების ფორმატებს შორის

შედეგების შედარებას, რაც, მიწოდების სხვადასხვა ფორმატებით, სწავლის შედეგებისა და ხარისხის სტანდარტების თანმიმდევრულობას უზრუნველყოფს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის გარე შეფასება;
- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასება;
- სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებლების/პერსონალის გამოკითხვის ფორმები, გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენების შესახებ ინფორმაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- სამუშაო და საგანმანათლებლო ბაზრის ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|-----------------|
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია |

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალია და აკრედიტაციაზე პირველად არის წარდგენილი, არ არსებობს რეკომენდაციები წინა აკრედიტაციის პროცესიდან, რათა ექსპერტებმა შეაფასონ მათი შესრულება. თუმცა, ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებამ პროგრამის შემუშავებისთვის გამოიყენა მსგავსი ქართულენოვანი პროგრამის რეკომენდაციები და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების პროცესში პროგრამის გუნდი ღია და თანამშრომლობითი იყო.

უნივერსიტეტში დადგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მექანიზმების შესაბამისად, დაგეგმვის ფაზაში პროგრამამ გაიარა გარე კოლეგიალური შეფასება. კერძოდ, პროგრამა შეაფასეს დარგის წარმომადგენლებმა და უკუკავშირი დადებითი იყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გარე შეფასების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|--|-----------------|
| 5.2.გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია |

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული გადახედვის პროცესი ხორციელდება მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემატური და სტრუქტურირებული მიდგომით, რაც ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით არის გამყარებული. მონიტორინგი ფარავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა სფეროსა და მიმართულებას და მოიცავს სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზს, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის განმახორციელებლები) უკუკავშირს, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დარგის ტენდენციებს, ასევე პროგრამის რესურსებისა და განხორციელების პირობების ადეკვატურობას.

პროცესში ჩართულია შესაბამისი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაციული ერთეულები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რომელთა მოსაზრებებიც გროვდება და შემდგომ გათვალისწინებულია პროგრამის შეფასებისა და შემუშავების პროცესში.

პროგრამის ეფექტურობა ფასდება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორებისა და სამიზნე კრიტერიუმების გამოყენებით, მათ შორის, მიღწეული სწავლის შედეგების დაგეგმილ მიზნებთან შედარებისა და აკადემიური მოსწრების ანალიზის ჩათვლით. მონიტორინგის შეჯამებული შედეგები შესრულების შესაფასებლად და შემდგომი განვითარებისთვის გამოიყენება.

პროგრამა გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, იცვლება ანალიზის შედეგების საფუძველზე, მათ შორის: პროგრამის შინაარსისა და კომპონენტების განახლება, სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების გადახედვა და მხარდაჭერის მექანიზმებისა და რესურსების გაუმჯობესება.

მონიტორინგის პროცესში სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ უკუკავშირის მექანიზმების მეშვეობით არის უზრუნველყოფილი, რომელთა შედეგებიც გაანალიზებულია და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენება.

პროგრამა შემუშავებულია და პერიოდულად გადაიხედება, საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც მოიაზრებს, უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარებასა და საერთაშორისო პარტნიორებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობას.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალი შექმნილია, სრული პერიოდული მიმოხილვის ციკლები და გრძელვადიანი მონიტორინგის შედეგები (მაგ., კურსდამთავრებულთა შედეგები) ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, სისტემატური მონიტორინგისა და პერიოდული გადახედვის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისი პროცედურები და მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის გარე შეფასება;
- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასება;
- სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებლების/პერსონალის გამოკითხვის ფორმები, გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენების შესახებ ინფორმაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- სამუშაო და საგანმანათლებლო ბაზრის ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|-----------------|
| 5.3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | შესაბამისობაშია |

